

**სახაზინო სამსახურის
ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა**
**საქართველოს 2008 წლის იანვარ-მარტის სახელმწიფო ბიუჯეტის
შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების შესახებ**

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

საქართველოს 2008 წლის იანვარ-მარტის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 1 322 505.9 ათასი ლარით, ფაქტიურად მობილიზებული იქნა 1 407 791.9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მოცულობის 106.4%-ია;

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 1 167 481.3 ათასი ლარით, ფაქტიურად მობილიზებული იქნა 1 239 664.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მოცულობის 106.2%-ია;

მათ შორის:

– გადასახადების საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 1 015 811.1 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 1 083 574.8 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 106.7%;

– გრანტების სახით ფაქტიურად მიღებული იქნა 29 200.2 ათასი ლარი ანუ საპროგნოზო მოცულობის – 29 644.0 ათასი ლარის, 98.5%; მათ შორის:

– ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩარიცხული ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტი 11 466.8 ათასი ლარი;

– ინვესტიციური პროექტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული გრანტები 16 972.7 ათასი ლარი;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების გრანტები სულ 757.0 ათასი ლარი, რომლის ექვივალენტი უცხოური ვალუტა, ხაზინის სავალუტო ანგარიშზე დონორების მიერ პროექტების დასაფინანსებლად ჩარიცხული თანხიდან, დაკონვერტირდა და ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში; მათ შორის: “დაცული ტერიტორიების განვითარება” – 259.5 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ადამიანთა ჯანმრთელობა და საზოგადოების გათვითცნობიერება და ინფორმირება)” – 45.9 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ცხოველთა ჯანმრთელობის კომპონენტი)” – 25.5 ათასი ლარი; “სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტი” – 18.2 ათასი ლარი; „სიღარიბის დაძლევის ხელშემწყობი მეოთხე კრედიტის მოსამზადებელი გრანტი” – 55.5 ათასი ლარი; “ინფრასტრუქტურის ინვესტიციების მოსამზადებელი პროექტი (ხუდონის კომპონენტი)” – 352.4 ათასი ლარი.

– ხაზინის ერთიან ანგარიშზე გრანტების სახაზინო კოდებზე ჩარიცხული “სხვა თანხები” 3.7 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 122 026.2 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 126 889.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 104%;

არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსულობების საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 132 101.4 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 138 710.9 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 105%.

ფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 2 911.4 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის (2 724.6 ათასი ლარი) 106.9%.

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და სხვა ქვეყნის მთავრობების მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოყოფილი გრძელვადიანი საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტების სახით ვალდებულებების ზრდით მიღებულმა შემოსულობებმა შეადგინა 26 505.5 ათასი ლარი. მათ შორის:

– ინვესტიციური პროექტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული კრედიტები სულ 25 589.2 ათასი ლარი;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი “სოფლის განვითარების პროექტის” კრედიტი 485.2 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ცხოველთა ჯანმრთელობის კომპონენტი)” – 22.0 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ადამიანთა ჯანმრთელობა და საზოგადოების გათვითცნობიერება და ინფორმირება)” – 25.6 ათასი ლარი; “აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალი ო პროექტის” კრედიტი 383.5 ათასი ლარი; (რომლის ექვივალენტი უცხოური ვალუტა ხაზინის სავალუტო ანგარიშზე ჩარიცხვის შემდეგ, დაკონვერტირდა და მიიმართა ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით ბიუჯეტის შემოსულობებში).

ინვესტიციური პროექტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან (დანართი 1) სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების ანგარიშგებაში ასახვისას ამოითიშა საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების გრანტები 1 666.6 ათასი ლარი, რომელიც “სამინისტროების და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების აღრიცხვის და ხარჯვის შესახებ” საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 30 აგვისტოს №570 ბრძანების თანახმად, ბიუჯეტის შემოსულობებში აისახება “საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შემდეგ; სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების: „სოფლის განვითარების პროექტის“ კრედიტი – 1 196.9 ათასი ლარი და “აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალი ო პროექტის” კრედიტი 3 150.2 ათასი ლარი; სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი საინვესტიციო პროექტის “ინფრასტრუქტურის ინვესტიციების მოსამზადებელი პროექტის (აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალი)” გრანტი 303.7 ათასი ლარი; “დაცული ტერიტორიების განვითარების” გრანტი – 401.3 ათასი ლარი; „აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალის გაუმჯობესების პროექტი ფაზა ორი“ გრანტი 47.8 ათასი ლარი; „სიღარიბის დაძლევის ხელშემწყობი მეოთხე კრედიტის მოსამზადებელი გრანტი – 76.1 ათასი ლარი; “ინფრასტრუქტურის ინვესტიციების მოსამზადებელი პროექტი (ხულონის კომპონენტი)” – 397.2 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ცხოველთა ჯანმრთელობის კომპონენტი)” – 136.6 ათასი ლარი; „განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი (api 2)” – 618.8 ათასი ლარი, რომელთა შესაბამისი ექვივალენტები უცხოურ ვალუტაში ჩაირიცხა ხაზინის სავალუტო ანგარიშზე და პროექტის განმახორციელებელი სსიპ-ს მიერ ხარჯების გაწევის შესაბამისად, მოხდება კონვერტირება და ხაზინის ერთიანი ანგარიშზე ჩარიცხვის გზით მიიმართება ბიუჯეტის შემოსულობებში. ასევე, ხაზინის ერთიანი ანგარიშზე სხვა ინვესტიციური პროექტების დასაფინანსებლად ჩაირიცხა 3 068.0 ათასი ლარი ნებაყოფლობითი ტრანსფერი, გრანტების გარეშე.

ფინანსთა სამინისტროს 2007 წლის 28 დეკემბრის №1318 ბრძანებით დამტკიცებული “სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ” ინსტრუქციის თანახმად, სახაზინო სამსახურში ღონისძიების მიერ საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი დაფინანსებისა და გაწეული საკასო ხარჯების შესახებ სახაზინო სამსახურში ინფორმაცია წარმოდგენილი იქნა საინვესტიციო პროექტების განმახორციელებელი სსიპ-ის მიერ 17 პროექტზე და საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი თანხების მოცულობამ შეადგინა 17 093.4 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა 2008 წლის 1 იანვრისათვის რიცხული ნაშთებისა და საანგარიშო პერიოდში ჩარიცხული თანხების ფარგლებში, შეადგინა 16 653.8 ათასი ლარი, ხოლო 1 იანვრისათვის რიცხული ნაშთების (რომლის ასახვა მოხდა გასული წლების ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგებაში) გარეშე, საანგარიშო პერიოდში ჩარიცხული თანხების ფარგლებში გაწეულმა საკასო ხარჯებმა – 8 600.8 ათასი ლარი. 53 პროექტზე პროექტების განმახორციელებელ სსიპ-ებს არ წარმოუდგენიათ ინფორმაცია გამოყოფილი თანხებისა და საკასო ხარჯების შესახებ.

“საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის შემოსულობათა აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 6 მარტის №82 ბრძანებულების შესაბამისად, საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების სახით, საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილობითი მომართვების საფუძველზე, 2008 წლის იანვარ-მარტში სახაზინო სამსახურის მიერ ხაზინის ერთიან ანგარიშზე გატარდა და სახელმწიფო ბიუჯეტის როგორც შემოსავლებში, ასევე ხარჯებში ასახული იქნა, წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების, ასევე საგარეო საქმეთა სამინისტროს აპარატის მიერ მიღებული და ადგილზე გახარჯული თანხები სულ 774.5 ათასი ლარი.

წინა წლების გამოუყენებელი საბიუჯეტო სახსრების დაბრუნებით მიღებულია 3 001.6 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში გარდამავალი საბრუნავი სახსრების ცვლილებამ (გამოყენება) შეადგინა 9 769.5 ათასი ლარი (2008 წლის 1 იანვრისათვის ხაზინის ერთიან ანგარიშზე რიცხული ნაშთი – 330 778.6 ათასი ლარი, შემცირდა და 2008 წლის 1 აპრილისათვის ხაზინის ანგარიშებზე ნაშთმა შეადგინა 321 009.1 ათასი ლარი).

2008 წლის 1 აპრილის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტის ხაზინის ანგარიშებზე საბიუჯეტო სახსრების სახით რიცხულ ნაშთში (321 009.1 ათასი ლარი), ასახულია ხარჯების მობრუნების შედეგად ჩარიცხული გაურკვეველი თანხები 13.0 ათასი ლარი, რომელიც, მხარჯავი სუბიექტების მიერ დამატებითი ინფორმაციების წარმოდგენის და დაზუსტების შემდეგ, მიიმართება დანიშნულებით.

2008 წლის 1 აპრილის მდგომარეობით სხვადასხვა უცხოურ ვალუტაში ხაზინის სავალუტო ანგარიშებზე საბიუჯეტო სახსრების სახით რიცხულმა თანხებმა შესაბამისი ექვივალენტით ეროვნულ ვალუტაში შეადგინა 12.3 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

სახელმწიფო ხარჯების მართვის პროცესის სრულყოფის მიზნით, სახაზინო სამსახურში მიმდინარე რეფორმის ფარგლებში, 2008 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2007 წლის 28 დეკემბრის №1318 ბრძანებით დამტკიცებული “სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ” ინსტრუქცია. ინსტრუქცია შემუშავებულია “საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის” შესაბამისად, რომელიც ეფუძნება სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის 2001 წლის სახელმძღვანელოს.

„საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერისა და 2008 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების თვეების და კვარტლების მიხედვით განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 11 იანვრის №25 ბრძანებით დამტკიცებული განწერით, 2008 წლის პირველი კვარტლის გეგმით გასაწევი სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების საპროგნოზო პარამეტრი განისაზღვრა 1 473 068.8 ათასი ლარით (მათ შორის საბიუჯეტო სახსრები – 1 435 176.2 ათასი ლარი, კრედიტები და გრანტები – 37 892.6 ათასი ლარი); ვალდებულებები რეგისტრირებულია 1 456 605.5 ათას ლარზე, მოთხოვნამ შეადგინა 1 420 576.1 ათასი ლარი, გადახდამ – 1 420 576.0 ათასი ლარი (მათ შორის საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 1 376 126.8 ათასი ლარი, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 44 449.1 ათასი ლარი), რაც ვალდებულების 97.5%, ხოლო გეგმის 96.4%-ს შეადგენს. საგადახლო მოთხოვნასა და სახსრების გადახდას შორის სხვაობა (დავალიანება) შეადგენს 0.1 ათას ლარს. საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობამ 2008 წლის იანვარ-მარტის მთლიან ხარჯებში შეადგინა 96.9%, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების მოცულობამ კი მთლიანი ხარჯების 3.1%.

„საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2005 წლის 29 დეკემბრის №1307 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ფულის გაცემის ოპერატიული ფინანსური გეგმის შედგენისა და ფულადი სახსრების მართვის წესის შესახებ“ ინსტრუქციის საფუძველზე, ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ, ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში, თანხების ხარჯვა საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა მათ მიერ მოსალოდნელ ხარჯებზე წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად შედგენილი და საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფულის გაცემის ოპერატიული ფინანსური გეგმების მიხედვით.

„საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იანვარ-მარტში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში დანართის სახით თან ერთვის, ხოლო გაწეული საკასო ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგია:

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით: „შრომის ანაზღაურების“ მუხლით ხარჯების დასაფინანსებლად 2008 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებული იყო 225 509.6 ათასი ლარი. ამ მიზნით რეგისტრირებული იქნა ვალდებულებები (წარმოდგენილია განაცხადი) 222 610.1 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 215 864.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 97%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 95.7%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით 2008 წლის პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრული იყო 485 859.3 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 476 713.1 ათასი ლარი, მოთხოვნამ – 465 720.3 ათასი ლარი, გადახდამ შეადგინა 465 720.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 97.7%-ს და გეგმის – 95.9%-ს შეადგენს. საგადახლო მოთხოვნასა და სახსრების გადახდას შორის სხვაობა (დავალიანება) შეადგენს 0.1 ათას ლარს.

„პროცენტის“ დაფარვის მუხლით 2008 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებული იყო 23 336.6 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 23 244.5 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 23 244.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 100%-ს და პირველი კვარტლის გეგმის – 99.6%-ს შეადგენს. მათ შორის:

– საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 13 522.7 ათასი ლარი, რაც

ვალდებულების (13 522.7 ათასი ლარი) 100% და საგემო მაჩვენებლის (13 522.7 ათასი ლარი) 100%-ია.

– საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 9 721.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (9 721.8 ათასი ლარი) 100% და გეგმიური მაჩვენებლის (9 813.9 ათასი ლარი) 99.1%-ია.

„სუბსიდიების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2008 წლის პირველი კვარტლის გეგმამ შეადგინა 93 269.6 ათასი ლარი, იანვარ-მარტში აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 91 724.3 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 89 347.3 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 97.4%-ს და გეგმის 95.8%-ს შეადგენს.

„სუბსიდიების“ მუხლიდან საანგარიშო პერიოდში ენერგოსისტემის სუბსიდირების ღონისძიებების დასაფინანსებლად მიიმართა 28 221.4 ათასი ლარი, რაც შეადგენს ვალდებულების – (28 223.0 ათასი ლარი) 100%-ს და პირველი კვარტლის საგემო მაჩვენებლის (28 529.1 ათასი ლარი) 98.9%-ს.

3 „გრანტების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2008 წლის პირველი კვარტლის გეგმამ შეადგინა 91 483.8 ათასი ლარი, გაწეული საკასო ხარჯების მოცულობამ – 91 390.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (91 428.8 ათასი ლარი) 100% და საგემო მაჩვენებლის (91 483.8 ათასი ლარი) 99%-ია.

ხარჯების აღნიშნული კატეგორიიდან 2008 წლის იანვარ-მარტში სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების ბიუჯეტებს ტრანსფერის სახით გადაერიცხათ 85 683.6 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების (85 683.6 ათასი ლარი) 100% და პირველი კვარტლის გეგმის (85 683.8 ათასი ლარი) 100%.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით 2008 წლის იანვარ-მარტში მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 287 148.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (289 607.5 ათასი ლარი) 99.2%-ს და პირველი კვარტლის საგემო პარამეტრის (290 919.0 ათასი ლარი) 98.7%-ს შეადგენს. მათ შორის, სოციალური დახმარებების სახით გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 238 126.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (240 285.5 ათასი ლარი) 99.1%-ია.

აღნიშნული მუხლიდან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური პროგრამების ხარჯების დასაფინანსებლად 2008 წლის პირველი კვარტლის გეგმით განესაზღვრა 238 047.8 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 235 812.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.1%-ია. მათ შორის: სახელმწიფო პენსიების დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 155 130.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების – (155 501.6 ათასი ლარის) და გეგმის (155 501.6 ათასი ლარი) 99.8%-ია. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დასაფინანსებლად 2008 წლის პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრული იყო 43 115.4 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 42 181.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 97.8% და ვალდებულების (42 252.0 ათასი ლარი) 99.8%-ია.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობების ხარჯების დასაფინანსებლად განესაზღვრა 7 534.5 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 7 522.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.8% და ვალდებულების (7 534.5 ათასი ლარი) 99.8%-ია.

„სხვა ხარჯების“ მუხლით 2008 წლის პირველი კვარტლის გეგმა განისაზღვრა 91 458.0 ათასი ლარით, იანვარ-მარტში აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 89 565.8 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა – 87 593.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 97.8%-ს და გეგმის 95.8%-ს შეადგენს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ „სხვა ხარჯების“ მუხლით გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 69 331.8 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 70 998.4 ათასი ლარის ვალდებულებები, ხოლო 2008 წლის პირველი კვარტლის გეგმამ შეადგინა 71 727.0 ათასი ლარი. მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა ვალდებულების

97.6% და საგეგმო მაჩვენებლის – 96.7%. მათ შორის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პროგრამების ხარჯების დასაფინანსებლად მიმართული იქნა 62 563.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (62 967.7 ათასი ლარი) 99.3% და საგეგმო მაჩვენებლის (63 350.0 ათასი ლარი) 98.7%-ია.

„არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2008 წლის პირველი კვარტლის გეგმით არაფინანსური აქტივებით ოპერაციების დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 134 747.3 ათასი ლარის ასიგნებები; საანგარიშო პერიოდში აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 130 717.0 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა – 119 655.3 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 91.5%-ს და გეგმის 88.8%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებების ხარჯების დასაფინანსებლად განესაზღვრა 7 728.0 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 7 399.6 ათასი ლარის ვალდებულებები, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა (7 393.7 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების 99.9% და საგეგმო მაჩვენებლის – 95.6%.

„ფინანსური აქტივების და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2008 წლის პირველი კვარტლის გეგმით ფინანსური აქტივებით ოპერაციების დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 15 367.3 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 20 800.5 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 20 418.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 98.2%-ს და გეგმის – 132.9%-ს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი განპირობებულია უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი ინვესტიციური პროექტების ხარჯების დაფინანსებით, რაც განხორციელდა ხაზინის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად და ანგარიშგებაში ასახულია ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად.

„ვალდებულებების“ მუხლით 2008 წლის პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრული იყო 21 118.2 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 20 193.9 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 20 193.9 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 100%-ს და გეგმის – 95.6%-ს შეადგენს; მათ შორის: საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 10 193.9 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (10 193.9 ათასი ლარი) 100% და გეგმიური მაჩვენებლის (11 118.2 ათასი ლარი) 91.6%-ია; საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 10 000.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (10 000.0 ათასი ლარი) და გეგმიური მაჩვენებლის (10 000.0 ათასი ლარი) 100%-ია.

ორგანიზაციული კოდეზის მიხედვით დანართის სახით თანდართულია ასევე ინფორმაცია კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების შესახებ. უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი ინვესტიციური პროექტების კუთხით საგეგმო მაჩვენებლებს აღემატება შემდეგი დარგობრივი სამინისტროების და უწყებების ინვესტიციური პროექტების საკასო ხარჯები:

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს პროექტები: „სოციალური ინვესტიციების ორ პროექტი“ (კოდი 25 06 02 03, მუხლი „სუბსიდიები“) – 965.6 ათასი ლარი; „ფოთის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია“ (კოდი 25 06 02 05, მუხლი „ფინანსური აქტივები“) – 2 147.3 ათასი ლარი; „ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია“ (კოდი 25 06 11, მუხლი „სუბსიდიები“) – 183.6 ათასი ლარი; „განახლებადი ენერჯის განვითარების პროგრამა“ (კოდი 25 06 02 08, მუხლი „სუბსიდიები“) – 19.1 ათასი ლარი; იუსტიციის სამინისტროს პროექტი: „მიწის კადასტრისა და რეგისტრაციის სისტემის ჩამოყალიბება – ორ პროექტი“ (კოდი 27 18 02, მუხლი „სუბსიდიები“) – 278.3 ათასი ლარი; შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური

დაცვის სამინისტროს პროექტები: “აივ/შიდსის პრევენციის და კონტროლის ეფექტური განხორციელების მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების გაძლიერება საქართველოში (გლობალ ფონდი) (კოდი 35 24 01 01, მუხლი „არაფინანსური აქტივები” – 0.1 ათასი ლარი; “ტუბერკულოზისა და ლეიკემიის კონტროლის პროგრამა (kfw)” (კოდი 35 24 05, მუხლი „სუბსიდიები”) – 39.9 ათასი ლარი; ენერჯეტიკის სამინისტროს პროექტები: „საბითუმო ბაზრის მხარდამჭერი პროექტი“ (კოდი 36 04 01, მუხლი „ფინანსური აქტივები”) – 1 891.6 ათასი ლარი; “რეგიონალური ელექტროქსელის რეაბილიტაცია – ო პროექტი (ალავერდი)” (კოდი 36 04 04, მუხლი „ფინანსური აქტივები”) – 0.9 ათასი ლარი; “ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციის პროექტი (EBRD)” (კოდი 36 04 09, მუხლი „ფინანსური აქტივები”) – 1 426.1 ათასი ლარი; სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტი “სასოფლო-სამეურნეო კვლევა, დანერგვა-კონსულტირება და სწავლება” (კოდი 37 08 03, მუხლი „არაფინანსური აქტივები”) – 218.0 ათასი ლარი.

სახაზინო სამსახურში მიმდინარე რეფორმების ფარგლებში დაგეგმილია ინვესტიციური პროექტების განმახორციელებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხაზინის მომსახურებაზე ეტაპობრივი გადასვლა, შედეგად დონორების მიერ თანხების ჩარიცხვა მოხდება ხაზინის ანგარიშებზე და ხარჯები დადგენილი პროცედურების დაცვით გაიწევა ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში

2008 წლის იანვარ-მარტში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებმა ფუნქციონალურ ჭრილში შეადგინა 1 379 964.1 ათასი ლარი და ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით, შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხაზით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 188 816.2 ათასი ლარი, რაც პირველი კვარტლის გეგმიური მაჩვენებლის (201 944.5 ათასი ლარი) 93.5%-ია. აღნიშნულ ხარჯებში დიდია ხვედრითი წილი აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის და საგარეო ურთიერთობის ხარჯების დაფინანსების – 56 629.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (64 774.0 ათასი ლარი) 87.4% და საერთო დანიშნულების მომსახურების ხარჯების 30%-ია; სახელმწიფო ვალებთან დაკავშირებული ოპერაციების ხარჯების დაფინანსების – 23 244.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (24 248.4 ათასი ლარი) 95.9% და საერთო დანიშნულების მომსახურების ხარჯების 12.3%; საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადების დაფინანსებამ მთავრობის სხვადასხვა დონეებს შორის შეადგინა 86 649.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (86 651.0 ათასი ლარი) 100%; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში შეადგინა 14 530.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (16 148.5 ათასი ლარი) 90%.

თავდაცვის ღონისძიებების ხარჯების დასაფინანსებლად 2008 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებული იყო 553 698.0 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 551 230.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99.5%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 39.9%-ი.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხაზით 2008 წლის პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრული იყო 163 322.5 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 139 251.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 85.3%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 10.1%; აღნიშნულ ხარჯებში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა საზოგადოებრივი წესრიგისა და

უსაფრთხოების სფეროში შეადგინა 86 127.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (104 710.2 ათასი ლარის) 82.2%-ია; პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 24 965.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის (27 519.2 ათასი ლარი) 90.7%; სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსების ხარჯებმა (13 677.6 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (15 052.6 ათასი ლარი) 90.9%; სასჯელაღსრულების დაწესებულებების დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 14 454.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (16 008.1 ათასი ლარი) 90.3%-ია.

ეკონომიკური საქმიანობის ხაზით 2008 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებული იყო 103 119.2 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 101 365.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 98.3%. აღნიშნულ ხარჯებში საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა (28 146.8 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (28 425.6 ათასი ლარი) 99%; სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსების ხარჯებმა (15 084.9 ათასი ლარი), გეგმის (15 820.7 ათასი ლარი) 95.3% შეადგინა; სათბობისა და ენერგეტიკის დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 35 988.7 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 35 607.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 98.9%-ია; მათ შორის: ნავთობისა და ბუნებრივი აირის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 28 843.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (28 975.2 ათასი ლარი) 99.5%; ელექტროენერგეტიკის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 7 013.5 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 6 744.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 96.2%. ტრანსპორტის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 14 780.7 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა (14 065.3 ათასი ლარი) შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის 95.2%; ეკონომიკის სხვა დარგების ხარჯების (1 902.8 ათასი ლარი) დაფინანსებამ შეადგინა საგეგმო მაჩვენებლის (1 006.9 ათასი ლარი) 189%; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა ეკონომიკის სფეროში შეადგინა 4 246.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (4 745.6 ათასი ლარის) 89.5%-ია.

გარემოს დაცვის ხაზით 2008 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებული იყო 3 779.2 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 3 218.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 85.2%. გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 841.4 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა კი შეადგინა 723.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 85.9%-ია; სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯების დასაფინანსებლად გარემოს დაცვის სფეროში განსაზღვრული იყო 1 640.1 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (1 394.4 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 85%.

ჯანმრთელობის დაცვის ხაზით 2008 წლის პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრული იყო 58 204.7 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 55 403.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 95.2%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 4%-ი; ამბულატორიული მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 9 372.0 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (9 337.0 ათასი ლარი) შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის 99.6%; საავადმყოფოების მომსახურებისათვის გაწეულმა ხარჯებმა (21 637.0 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (22 721.1 ათასი ლარი) 95.2%; საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯები დაფინანსდა – 11 016.1 ათასი ლარით, რაც გეგმის (12 080.6 ათასი ლარი) 91.2%-ია; სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დაფინანსდა 13 011.3 ათასი ლარით, რაც გეგმის (13 549.0 ათასი ლარი) 96%-ია.

საქმიანობა კულტურის, დასვენებისა და რელიგიის სფეროში დაფინანსდა 19 160.3 ათასი ლარით, რაც 2008 წლის პირველი კვარტლის გეგმიური მაჩვენებლის – 21 979.7 ათასი ლარის 87.2%-ს შეადგენს. ვლასვენებისა და სპორტის სფეროში მომსახურების

ხარჯებმა (5 711.7 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (6 832.1 ათასი ლარი) 83.6%; კულტურის სფეროში მომსახურების ხარჯებმა – 7 589.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის (8 490.3 ათასი ლარი) 89.4%; ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 3 500.0 ათასი ლარი გამოყოფა, საკასო ხარჯმა (3 276.9 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 93.6%; რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 1 848.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (2 380.3 ათასი ლარი) 77.7%-ია.

განათლების სფეროს დასაფინანსებლად 2008 წლის პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრული იყო 88 867.0 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 84 145.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 94.7% და სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი ხარჯების 6.1%-ი; აღნიშნულ ხარჯებში დიდია ხვედრითი წილი: ზოგადი განათლების საფეხურის დაფინანსების – 68 329.4 ათასი ლარი, რომელმაც შეადგინა გეგმის (70 540.2 ათასი ლარი) 96.9%; საშუალო ზოგადი განათლების დაფინანსების – 65 565.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (67 754.0 ათასი ლარი) 96.8%-ია; უმაღლესი განათლების დაფინანსების – 9 455.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (10 016.2 ათასი ლარი) 94.4%-ია.

სოციალური დაცვის ხაზით 2008 წლის პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრული იყო 241 130.2 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 236 652.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 98%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 17.1%-ი. ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 1 283.1 ათასი ლარი, ანუ საგეგმო მაჩვენებლის (1 477.5 ათასი ლარი) 86.8%; ხანდაზმულთა სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 169 664.4 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა შეადგინა 169 249.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის 99.8%; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 47 428.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (49 715.4 ათასი ლარი) 95.4%-ია; სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას დაფინანსდა 12 887.1 ათასი ლარით, რომელმაც შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის (13 194.1 ათასი ლარი) 97.7%; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობისათვის გაწეულმა ხარჯებმა სოციალური დაცვის სფეროში შეადგინა 5 804.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (7 078.8 ათასი ლარი) 82%-ია.

საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდები

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის 2008 წლის პირველი კვარტლის საგეგმო მაჩვენებელი განისაზღვრა 9 037.0 ათასი ლარით. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საანგარიშო პერიოდში საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ 27 შემთხვევაში შეადგინა 8 675.5 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 4 490.4 ათასი ლარი.

შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში აუთვისებელი თანხების მოცულობამ 2008 წლის 1 აპრილის მდგომარეობით შეადგინა 4 185.1 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის 2008 წლის პირველი კვარტლის საგეგმო მაჩვენებელი განისაზღვრა 3 277.5 ათასი ლარით, ხოლო საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობის განკარგულებით სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ 21 შემთხვევაში შეადგინა 3 277.5 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 3 035.7 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2008 წლის პირველი აპრილისთვის აუთვისებული თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 241.8 ათასი ლარი.

ორგანიზაციულ ჭრილში თანხების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია თან ერთვის.

წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა

საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის კანონით ცალკეული ღონისძიებების სახით წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დასაფარად გამოყოფილი იქნა 3 156.1 ათასი ლარის ასიგნება. ამასთან ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრული ღონისძიებებისა და გამოყოფილი ასიგნებების მიხედვით საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული საკასო ხარჯების მაჩვენებლები ბიუჯეტის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით შემდეგია: „საქონელი და მომსახურების” მუხლით საკასო ხარჯმა შეადგინა 811.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (840.0 ათასი ლარი) 96.6%-ია; „სუბსიდიების” მუხლით საკასო ხარჯმა შეადგინა 3.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (3.1 ათასი ლარი) 100%-ია; „სხვა ხარჯების” მუხლით საკასო ხარჯმა შეადგინა 77.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (98.8 ათასი ლარი) 78.3%-ია; „არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციის” მიხედვით არაფინანსური აქტივებით ოპერაციების დასაფინანსებლად გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 2 313.0 ათასი ლარი ანუ გეგმის (2 313.0 ათასი ლარი) 100%.

“საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად განსაზღვრული ასიგნებებიდან ორგანიზაციულ ჭრილში გაწეული საკასო ხარჯები შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება: “საქონელი და მომსახურების” მუხლიდან საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადასახდელად მიიმართა 811.1 ათასი ლარი (გეგმა – 840.0 ათასი ლარი); „არაფინანსური აქტივების” მუხლიდან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიზნობრივი პროგრამების დასაფინანსებლად (პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა „საგანმანათლებლო დაწესებულებების რეაბილიტაცია”) მიიმართა 2 290.7 ათასი ლარი (გეგმა – 2 290.7 ათასი ლარი); „არაფინანსური აქტივების” მუხლიდან საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ „დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის” – წინა წლებში შესრულებული სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადასახდელად მიიმართა – 22.3 ათასი ლარი (გეგმა – 22.3 ათასი ლარი), ხოლო „სუბსიდიების” მუხლიდან გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა – 3.1 ათასი ლარი (გეგმა – 3.1 ათასი ლარი).

2008 წლის იანვარ-მარტის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების წარმოდგენილი ანგარიში შედგენილია სახაზინო სამსახურში არსებული მონაცემების საფუძველზე.